

Makale Türü/Article Type: Araştırma Makalesi/Research Article

ქართული ენის სწავლების მეთოდები დუზჯეს უნივერსიტეტში

Maka SALIA BEŞİROĞLU¹

აბსტრაქტი

უცხო ენის სწავლება გარკვეულ მეთოდებს მოითხოვს. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ სწავლების მეთოდებს, როგორცაა: გრამატიკულ-მთარგმნელობითი, პირდაპირი, იგივე ბუნებრივი მეთოდი, აუდიოლინგვური, აუდიოვიზუალური, შერეული. ყველა მათგანს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისება. არ არსებობს უნივერსალური მეთოდი. სასურველი მეთოდი დამოკიდებულია სიტუაციაზე. მეთოდები მუდმივად იცვლება, სამიზნე ჯგუფის მიხედვით. ჩვენს სამიზნე ჯგუფს დუზჯეს უნივერსიტეტის სტუდენტები წარმოადგენენ, რომლებმაც არჩევანი საკუთარი, მშობლიური ენისგან სრულიად განსხვავებულ - ქართულ ენაზე გააკეთეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუდენტები განსახილველი უცხო ენის სწავლას იწყებენ ანბანიდან. ანუ არანაირი წინარე ცოდნა არა აქვთ. ჩვენ ქართული ენის სწავლებისას მივმართავთ შერეულ მეთოდს. წინამდებარე სტატიაში ქართული ენის გრამატიკის სწავლებაზე ვამახვილებთ ყურადღებას. ვფიქრობთ, ენის ხარისხიანი სწავლებისთვის აუცილებელი საყრდენი გრამატიკაა. შევნიშნავთ, რომ სწავლების საწყის ეტაპზე აუცილებელია გარკვეული წესებისა და ტერმინების დამახსოვრება. ცნობილია, რომ მხოლოდ განსაზღვრული გრამატიკული წესებისა და კანონების საფუძველზე იქცევა სიტყვები და წინადადებები ურთიერთობის მძლავრ საშუალებად, აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად. გრამატიკის სწავლებასთან ერთად სტუდენტი ეუფლება ენის ლექსიკას, ახალი სიტყვების მიღების გზებს, საშუალებებს; უვითარდება კრიტიკის უნარი: რომელია მართებული ფორმა ან რატომ? გრამატიკული ცნებების, კატეგორიების შესწავლის საფუძველზე მდიდრდება შემსწავლელის ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა. გრამატიკის სწავლება. სწავლების მეთოდები.

DÜZCE ÜNİVERSİTESİ'NDE GÜRCÜCE ÖĞRETİM YÖNTEMLERİ

Öz

Yabancı dil öğretiminde belirli yöntemlere ihtiyaç vardır. Bu yazıda gramer-çeviri, doğrudan yani doğal yöntem, işitsel-dilsel, görsel-işitsel, karma öğretim yöntemlerini ele alacağız. Hepsinin hem olumlu hem de olumsuz nitelikleri vardır. Evrensel bir yöntem olmadığından hangi yöntemin tercih edileceği duruma göre belirlenmektedir. Hedef kitleye göre yöntemler sürekli değişmektedir. Hedef kitlemiz, Düzce Üniversitesi'nde okuyan ve ana dillerinden tamamen farklı bir dili, yani Gürcü dilini seçmiş öğrencilerdir. Burada şu hususları belirtmek gerekir ki, öğrenciler söz konusu yabancı dili öğrenmeye alfabeden başlamaktadırlar. Yani ön bilgileri yoktur. Gürcü dilinin öğretiminde karma bir yöntem kullanılmaktadır. Bu makale Gürcü dilinin gramerinin öğretilmesine odaklanacaktır. Nitekim kaliteli dil öğretimi için dil bilgisinin gerekli bir destek olduğu varsayılmaktadır. Öğrenmenin ilk aşamasında, kuralları ve terimleri ezberlemek gerekmektedir. Kelimelerin ve cümlelerin ancak belirli dilbilgisi kuralları ve yasaları temelinde güçlü bir

¹ Doç. Dr., Düzce Üniversitesi, Fen-Edebiyat Fakültesi, Kafkas Dilleri ve Kültürü Bölümü, Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı, Düzce/TÜRKİYE, e-posta: makasalia@duzce.edu.tr, makasalia@gmail.com, ORCID: 0000-0001-5691-9508.

Bu Yavına Atıfta Bulunmak İçin/Cite as: Salia Beşiroğlu, M. (2024). ქართული ენის სწავლების მეთოდები დუზჯეს უნივერსიტეტში / Düzce Üniversitesi'nde Gürcüce Öğretim Yöntemleri. *Düzce Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi*, 14(Özel Sayı), 26-33.

iletişim ve fikir alışverişi aracı haline geldiği bilinmektedir. Öğrenci dilbilgisi öğrenmenin yanı sıra, dilin kelime dağarcığını, kurallarını ve yeni kelimeler edinmenin yollarını da öğrenir. Öğrenci eleştirme yeteneğini geliştirir: “Doğru biçim hangisi veya neden?” diye tartışabilir. Dilbilgisi kavram ve kategorilerinin incelenmesine dayalı olarak dil öğrenen kişinin sözlü ve yazılı konuşma kültürü zenginleşir.

Anahtar Kelimeler: Gürcü dili, Gramer öğretimi, Öğretim yöntemleri.

შესავალი

თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთ შესანიშნავ და წარმატებულ უნივერსიტეტში - დუზჯეს უნივერსიტეტში - უკვე ათი წელია ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება. ათი წელია ვემსახურებით ამ საპასუხისმგებლო საქმეს, ვასწავლით ქართულს, როგორც უცხო ენას - არაქართულენოვან სტუდენტებს და ამით ჩვენი მოკრძალებული წვლილიც შეგვაქვს თურქულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებში (Ertuğrul, 2024: 27). ინტერესი ქართული ენის სწავლის მიმართ დიდია: ჩვენი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ეს არის უახლოესი მეზობელი სახელმწიფო, შეიძლება საქმიანი ურთიერთობები სხვადასხვა კუთხით გავადრმაგოთ; ეს არის ძველი ქვეყანა, რომელსაც აქვს საერთო კავშირები თურქეთის სახელმწიფოსთან; ზოგს ის ახარებს - „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“... თანამედროვე თურქეთის კულტურული სახელმწიფო აძლევს თავის მოქალაქეებს არჩევანის საშუალებას, ხელს უწყობს მისთვის სასურველი მიზნის მიღწევაში - განათლების გადრმაგებაში. ჩვენი მიზანია, სწავლის პროცესი გავხადოთ საინტერესო, ავუმაღლოთ მოტივაცია სტუდენტებს; ეფექტური სწავლებით მივცეთ მათ ხარისხიანი განათლება, ვასწავლოთ მათ მიერ არჩეული უცხო ენა, ამ შემთხვევაში ქართული ენა, აკადემიურ დონეზე, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ უნივერსიტეტის მოთხოვნებს. ვცდილობთ, ეს შრომატევადი საქმე გავხადოთ ხალისიანი, რაც შეიძლება საინტერესო, არც ერთი გაკვეთილი და არც ერთი აქტივობა არ უნდა ჰგავდეს ერთმანეთს. დასახული მიზანი არ არის მარტივი. თუმცა არც მიუღწევადია. ამ სიტყვების საშუალებას ჩვენი მუშაობის ათი წელიც გვაძლევს: წინააღმდეგობები, პრობლემები, რომლებიც ამ ათი წლის განმავლობაში გამოვიარეთ ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესში (სალია, 2014: 202), გადაჭრის გზები, საშუალებები, რომლებსაც მივმართავთ, ხარისხიანი სწავლების მიზნით და, რა თქმა უნდა, შედეგი, რაზედაც არის გათვლილი სასწავლო პროგრამა და რასაც ვაღწევთ.

1. რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით?

სწავლების პროცესში მუდმივად დგას ორი კითხვა: რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? უდავოა, რომ ცოდნასთან ერთად, რომელსაც უნდა ფლობდეს მასწავლებელი, უმნიშვნელოვანესი არის პედაგოგიკა და მეთოდიკა. წინამდებარე სტატიაში ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდებზე მოგახსენებთ. გრამატიკა შეისწავლის სიტყვათა ცვლილებებსა და სიტყვების წინადადებად შეკავშირებას. მხოლოდ გრამატიკის საშუალებით ეძლევა ენას მწყობრი, გააზრებული ხასიათი, მხოლოდ განსაზღვრული გრამატიკული წესებისა და კანონების საფუძველზე იქცევა სიტყვები და წინადადებები ურთიერთობის მძლავრ საშუალებად, აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად (თალაკვაძე, 1975: 7). ქართული ენის სწავლების საწყისი ეტაპი არ შეიძლება დავტვირთოთ გრამატიკული წესებისა და კანონების, ტერმინების დაზეპირება-დაზუთხვით. ვცდილობთ, სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი, ვიყენებთ სხვადასხვა თვალსაჩინოებებს. ვითვალისწინებთ პროფესიონალთა გამოცდილებას, ვამუშავებთ სხვადასხვა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს, იმის გათვალისწინებით, შეიძლება თუ არა ესა თუ ის ხერხი მივუსადაგოთ ჩვენ მიერ

შერჩეულ ენას, ენის გრამატიკას. შეუძლებელია ერთი და იმავე მეთოდით ვასწავლოთ სხვადასხვა უცხო ენა. ვიყენებთ სხვადასხვა რესურსს, რომელთა შორის ჩვენთვის მთავარი არის საქართველოს სამინისტროს მიერ შედგენილი ვებგვერდი - „ქართული როგორც უცხო ენა“. როგორც აღვნიშნეთ, მთავარი სამიზნე ჯგუფია - ვისთვის არის განკუთვნილი ეს პროგრამა; ჯგუფის თითოეული წევრიც საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას. სხვათა ნაფიქრ-ნააზრების გათვალისწინებასთან ერთად უმთავრესი საკუთარი გამოცდილებაა, რომელსაც პედაგოგიური მოღვაწეობის წლები გვაძლევს.

ჩვენი მიზანია, დღემდე არსებული ქართული ენის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოების გამოყენებით, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით - ქართული ენის სწავლების მსურველებს განვუმარტივოთ ქართული გრამატიკის სწავლების გზები - სტუდენტებამდე მივიტანოთ აკადემიური ინფორმაცია გასაგებად და მიღებული თეორიული ცოდნა გავამყაროთ შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოებით (სალია, ლომია, ჩელები, 2021).

„თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა არ ენიჭება ერთ რომელიმე მეთოდს, რადგან არ არსებობს უცხო ენის სწავლების უნივერსალური მეთოდი, რომელიც შეიძლება მიესადაგებოდეს აბსოლუტურად ყველა მიზნობრივ ჯგუფს. ამა თუ იმ მეთოდის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: შემსწავლელის წინარე ცოდნა, კულტურული განსხვავება, განსხვავებები მშობლიურსა და შესასწავლ ენას შორის, შემსწავლელის სწავლის ტრადიცია (მაგალითად: ავტორიტარი მასწავლებელი, გრამატიკული წესების დაზეპირების ტრადიცია და მისთ.). განსხვავებულ მეთოდებს შეჩვეულ შემსწავლელს შეიძლება გაუჭირდეს კომუნიკაციური მიდგომით სწავლა, ვინაიდან მას ნაკლებად აქვს განვითარებული ავტონომიური სწავლის უნარი. თუ შემსწავლელს პირველი უცხო ენა ერთი მეთოდით აქვს ნასწავლი, ის აუცილებლად ეცდება, სწავლების ეს მეთოდი გამოიყენოს მეორე უცხო ენის შესწავლისას, ხოლო თუ ამ უკანასკნელს რადიკალურად განსხვავებული მეთოდით ასწავლიან, ის აუცილებლად დადგება გარკვეული პრობლემების წინაშე მეორე უცხო ენის შესწავლის პროცესში. საუკეთესო გამოსავალი ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა მეთოდის მონაცვლეობა ან ერთმანეთთან შეთავსებაა (კილურაძე, ქუთათელაძე, 2013: 5) - ასეთ რჩევებს ვიღებთ თანამედროვე მეთოდოლოგიებისგან.

2. ქართული გრამატიკის სწავლების მეთოდები

მეთოდები, რომელთა მონაცვლეობაზეც შეიძლება ვიფიქროთ საგაკვეთილო პროცესში, ასეთია:

2.1. გრამატიკულ-მეთოდი მთარგმნელობითი

ამ მეთოდის დასახელებიდანვე ჩანს, თუ რას ენიჭება უპირატესობა: ენის ცოდნა გაიგივებულია გრამატიკის ცოდნასა და სწორად თარგმნის უნართან. ეს მეთოდი განვითარდა ევროპაში ლათინური და ძველი ბერძნული ენების სწავლების ტრადიციაზე დაყრდნობით. ძველი ენების სწავლების მიზანი კი ენის სტრუქტურისა

და გრამატიკის ათვისება იყო სალიტერატურო ტექსტებზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესი წარიმართებოდა შემდეგი სქემით: შესავალი ფაზა - გრამატიკული წესის წარმოდგენა; ვარჯიშის ფაზა - წინადადებების აგება მოცემულ ფენომენზე; გამოყენების ფაზა - კითხვა, წერა და თარგმნა. ამ პრინციპით შედგენილ სახელმძღვანელოებში ხშირად ცალ-ცალკე თავებად არის გამოყოფილი გრამატიკა და ტექსტები. გრამატიკა, როგორც წესი, წარმოდგენილია მშობლიურ ან მიზნობრივ ენაზე ფორმულირებული ვერბალური წესის სახით. გამონაკლისებიც მათი არსებობის შემთხვევაში იქვე არის მითითებული. შემდეგ კი მოცემულია წესის ნიმუშები ხშირად თანდართული თარგმანის სახით. გრამატიკული წესების გავარჯიშება ხდება მათი დაზეპირებისა და სანიმუშო წინადადებების თარგმნის ფორმით, როგორც უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე, ასევე - პირიქით. ტექსტის სახეობებიდან უპირატესობა ენიჭება სალიტერატურო ტექსტებს, ცნობილი მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს. ამ ტექსტებს შემსწავლელი თარგმნის მასწავლებელთან ერთად კითხვის დროს და ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე შეკითხვებს უპასუხებს ზეპირად ან წერილობით. ამ ტექსტებს ხშირად კარნახისთვისაც იყენებენ. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისთვის ასევე ტიპური დავალებაა ტექსტების შეჯამება ან ტექსტის შინაარსის გაგრძელება წერიტი ფორმით. სასწავლო მასალის თანამიმდევრობა ეყრდნობა გრამატიკის სისტემურად მიწოდებას. სწავლების მიზანია ენის სტრუქტურის, წესების დასწავლა და არა - ენის დაუფლება.

2.2. პირდაპირი მეთოდი

გრამატიკული წესების ათვისების სრულ იგნორირებას ქადაგებდა და აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებდა სალაპარაკო ენას. ტერმინი „პირდაპირი“ გულისხმობს უცხო ენის ათვისებას მშობლიური ენის, როგორც საშუამავლო ენის, გარეშე, რადგან ამ კონცეფციით მშობლიური ენა უცხო ენის ათვისებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება. ამ მეთოდის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა ბერლიცი და იგი ბერლიცის მეთოდის სახელითაც არის ცნობილი, თუმცა უამრავი სხვა სინონიმური დასახელებაც აქვს, როგორებიცაა: „ბუნებრივი მეთოდი“, „რაციონალური მეთოდი“, „ანტიგრამატიკული მეთოდი“, „ანალიტიკური მეთოდი“.

სალიტერატურო ტექსტებიდან უპირატესობა ენიჭება ყოველდღიურ სასაუბრო ტექსტებსა და მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას: მოსმენა და გამეორება ხდება გაკვეთილის ძირითადი ქვაკუთხედი. ენის ათვისება მხოლოდ მიზნობრივ ენაზე მიმდინარეობს მშობლიური ენის გამოყენების გარეშე: მიმდევრები მკაცრ ზღვარს ავლებენ მშობლიურ და უცხო ენას შორის და გამორიცხავენ ყოველგვარ შედარებას ან ზედდაშენებას მშობლიურ და უცხოენოვან ფენომენებს შორის. მასწავლებელი ხდება „ენის მოდელი“.

2.3. აუდიოლინგვური მეთოდი

ამ მეთოდით შექმნილ სახელმძღვანელოებში ახალი სასწავლო მასალა წარმოდგენილი არის ყოველდღიურ სასაუბრო სიტუაციასთან დაკავშირებული

დიალოგის და/ან სურათის მეშვეობით. აუდიოლინგვური მეთოდი გრამატიკას, როგორც თვითმიზანს, აღარ განიხილავს და არ უთმობს ცალკე დროს გრამატიკული წესების შესწავლას. უფრო მეტიც, გრამატიკა მოცემულია მაგალითების სახით და შემსწავლელი გრამატიკულ წესს თავად ადგენს გრაფიკული მანიშნებლების, მუქად დაბეჭდილი ნაწილების, ისრების, ცხრილებისა თუ სხვა გრაფიკული დამხმარე საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ აუდიოლინგვურ მეთოდში გრამატიკა, ერთი შეხედვით, თითქოს არ ისწავლება, სინამდვილეში სასწავლო მასალა (ტექსტები, დიალოგები, თემები, სიტუაციები) მთლიანად გრამატიკის „ფარულ“ პროგრესიას ემსახურება.

2.4. აუდიოვიზუალური მეთოდი

აუდიოვიზუალური მეთოდი აუდიოლინგვური მეთოდის შემდგომი განვითარებაა. ორივე მეთოდს საერთო საფუძველი აქვს, თუმცა მათ შორის შეინიშნება რამდენიმე ძირითადი განსხვავება. ეს მეთოდები ერთმანეთის პარალელურად, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა (აუდიოლინგვური) და საფრანგეთში (აუდიოვიზუალური). აუდიოვიზუალურ მეთოდში მაქსიმალურად არის გამოყენებული ენის ვიზუალიზაციის საშუალებები: სადაც კი შესაძლებელია, ყველგან სურათების საშუალებით არის გადმოცემული სამეტყველო სიტუაციის შინაარსი. წინ წამოწეულია სურათი, და შემდეგ მიეწოდება შემსწავლელს ინფორმაცია ვერბალური ფორმით. სწორედ ეს გახლავთ პირველი განსხვავება აუდიოლინგვურ და აუდიოვიზუალურ მეთოდებს შორის: პირველში შემსწავლელს ინფორმაცია თავდაპირველად მიეწოდება აუდიოსიგნალის მოსმენით, შემდეგ ის იმეორებს იმას, რაც მოისმინა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს გაანალიზებას. აუდიოვიზუალური მეთოდით კი შემსწავლელი ჯერ ეცნობა სიტუაციის შინაარსს სურათებით და შემდეგ მიეწოდება ტექსტი, ანუ ენობრივი კოდი. აუდიოვიზუალურ მეთოდში სურათები მხოლოდ მნიშვნელობის გაგებისთვის არ გამოიყენება, – მათ წამყვანი როლი უკავიათ ვარჯიშის მასალის განმტკიცებისა და ენის გამოყენების ფაზაში.

2.5. შერეული მეთოდი

50-იან წლებში შეინიშნება გრამატიკულ-მთარგმნელობითი და აუდიოლინგვური მეთოდების შერევის ტენდენცია. ეს ბუნებრივიც არის, რადგან აუდიოლინგვურის შემდეგ არც ერთ მიდგომას აღარ აქვს უნივერსალურობის პრეტენზია. ცნობილია, რომ მიზნობრივი ჯგუფის ინტერესებიდან, მათი წინარე ცოდნიდან, სასწავლო გარემოდან გამომდინარე, უპირატესობა ენიჭება სხვადასხვა მეთოდს. შესაბამისად, აუდიოლინგვური მეთოდი არ გამოადგება მეცნიერს, რომელსაც უცხო ენის შესწავლა სურს სამეცნიერო პუბლიკაციების წასაკითხად, ხოლო გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი გამოუსადეგარია მათთვის, ვისაც ტურისტული ვიზიტით სურს ჩასვლა მიზნობრივი ენის ქვეყანაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოსაც: თუ ჯგუფში სხვადასხვაენოვანი შემსწავლელები არიან, მასწავლებელი ვერ გამოიყენებს

თითოეული მათგანის მშობლიურ ენას საშუამავლო ენად, შესაბამისად, მოუწევს საშუამავლო ენის გარეშე სწავლება, რაც აუდიოლინგვური მეთოდის მახასიათებელია. თუ შემსწავლელი მიზნობრივი ენის ქვეყანაშივე სწავლობს, ის მოითხოვს ყოველდღიური სიტუაციების, დიალოგების შესწავლას, რათა შეძლოს ნასწავლის გამოყენება საკლასო ოთახს მიღმაც, რაც ასევე აუდიოლინგვური მეთოდის მახასიათებელია (დიალოგური ტექსტები, ყოველდღიური სიტუაციები). ამგვარი ბუნებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგა სხვადასხვა მეთოდის „შერწყმის“ აუცილებლობა, რის შედეგადაც მივიღეთ სახელმძღვანელოები, რომლებშიც ყოველდღიური სიტუაციებია მოცემული, მაგრამ ტექსტები მაინც არაავთენტიკურია, სასაუბრო ენა „გაშეშებული“ სტილით არის მოცემული და, რაც მთავარია, ტექსტები შედგენილია გრამატიკული ფენომენის ასათვისებლად. მართალია, გრამატიკა უკვე განსხვავებულად ისწავლება: თავდაპირველად მოცემულია მაგალითი, ხოლო შემდეგ (გრაფიკული საშუალებებით) – წესი და გამონაკლისიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაგრამ გრამატიკას მაინც წამყვანი ფუნქცია აკისრია სახელმძღვანელოს აგებისას. ასეთი ცვლილება გამოიწვია, ერთი მხრივ, იმ ფაქტორმა, რომ მიზნობრივ ჯგუფებში არ არსებობდა ერთი მშობლიური ენა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა საშუამავლო ენაზე გრამატიკის ასახსნელად, მეორე მხრივ, იმანაც, რომ საწყის საფეხურზე შემსწავლელებში მიზნობრივი უცხო ენა მწირი იყო, რის გამოც გრამატიკის ახსნა უცხო ენაზე ვერ ხერხდებოდა. მიუხედავად ასეთი სახეცვლილებისა, ამ მეთოდით შედგენილ სახელმძღვანელოებში გრამატიკას მაინც ცენტრალური ადგილი უჭირავს და ყველა ტექსტი თუ სავარჯიშო გრამატიკულ ფენომენებზე არის აგებული (კილურამე, ქუთათელაძე, 2013: 7).

დასკვნა

ვფიქრობთ, ენის ხარისხიანი სწავლებისთვის მთავარი საყრდენი გრამატიკის ცოდნაა. გრამატიკის შესწავლით მოსწავლე ეუფლება ენის გრამატიკულ წყობას, მის თავისებურებებს, იგი სწავლობს სიტყვათა ცვლილებებსა და სიტყვათა წინადადებად შეკავშირების წესებს. ამ წესების სწავლა და პრაქტიკაში გამოყენება უვითარებს მას ლოგიკურ აზროვნებას, აბსტრაქციის უნარს. გრამატიკის შეგნებული შესწავლა მისი წესების, კანონებისა და გრამატიკული ცნებების დაუფლება მოითხოვს მოსწავლისგან ხანგრძლივ და სისტემურ გონებრივ მუშაობას, კონკრეტულ ნიმუშზე დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებით ანალიზს, მსჯელობას და სათანადო დასკვნების გაკეთებას. „ასეთი მუშაობა ხელს უწყობს დაკვირვების, შედარების, ძიების უნარის განვითარებას“ (თალაკვაძე, 1975: 9). გრამატიკის თეორიული მასალის შესწავლის საფუძველზე უვითარდება ჩვევა საკუთარი მეტყველებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების. გრამატიკის ცოდნა აძლიერებს მოსწავლეში პასუხისმგებლობის გრძნობას გაარჩიოს მართებული ფორმები არამართებულისგან; გრამატიკის ცოდნა გამოიყენოს იმისთვის, რომ აიმაღლოს საკუთარი მეტყველების კულტურა. გრამატიკული ცნებების, კატეგორიების შესწავლის საფუძველზე მიდრდება შემსწავლელის ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა.

ვითვალისწინებთ რა პროფესიონალთა რჩევებს, ძველ და უახლეს მეთოდოლოგიურ ხედვებს, ვცდილობთ ქართული ენის გრამატიკის სწავლების პროცესი გავხადოთ საინტერესო და მრავალფეროვანი.

გამოყენებული ლიტერატურა

Ertuğrul, A. (2024). “Onuncu Yılında Düzce Üniversitesi Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı”. *Türk-Gürcü Kültürel İlişkileri: Tarih-Kültür-Edebiyat-Dil*, ed. Ali Ertuğrul, Maka Salia Beşiroğlu, Shorena Lomaia, Yusuf Şafak, Düzce: Düzce Üniversitesi Yayınları, 27-55.

თალაკვაძე, მ. (1975). ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა. *თბილისი*.

კიღურაძე, თ. & ქუთათელაძე, ე. (2013). ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა. *თბილისი*.

სალია, მ. ლომაია, შ. ჩელები, ფ. (2021). ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია). *დუზჯეს უნივერსიტეტი*.

სალია, მ. (2014). ქართული ენის სწავლება დუზჯეს უნივერსიტეტში პრობლემები და პერსპექტივები (ქართულ-თურქულად). *დუზჯე - ისტორია, კულტურა*. 202-206.